

## ზოგიერთი სამგანზომილებიანი სასაზღვრო და სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა ორგვარი ფოროვნების მქონე დრეკადი ნარევისთვის

რომან ჯანჯღავა

მოსხენებაში განიხილება ორგვარი ფოროვნების მქონე დრეკადი სხეულების წონასწორობის წრფივი განტოლებათა სისტემა, როცა სხეულის მყარი ჩონჩხი წარმოადგენს ორი იზოტროპული მასალის ნარევის. ამ განტოლებათა სისტემის ზოგადი ამონახსნი წარმოდგენილია ჰარმონიული ფუნქციებისა და მეტაჰარმონიული ფუნქციის საშუალებით. ნაჩვენებია, რომ აგებული ზოგადი ამონახსნის საფუძველზე, ცვლადთა განცალების მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია ანალიზურად ამოიხსნას სასაზღვრო ამოცანათა კლასი მართკუთხა პარალელებიპედიისათვის. განხილულია ასევე შესაბამისი სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები მრავალფენიანი მართკუთხა პარალელებიპედიისათვის.